



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1594 2017 წლის 27 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების
ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, რომ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ნიკორწმინდის ტაძრის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 247 000 (ერთი მილიონ ორას ორმოცდაშვიდი ათასი) ლარს.

2. 2017 წელს ნიკორწმინდის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 300 000 (სამასი ათასი) ლარი.



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ტელ.: 2 98 74 30



070131030013817

შემოსვლის № 12706
03 08 2017
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტრო

3. საქართველოს ფინანსთა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებმა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს გაითვალისწინონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების დაფინანსებისათვის საჭირო შესაბამისი თანხები.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი